კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.23.024.069) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #5

ქ. თბილისი **29.06.2015წ.**

კომისიის თავმჯდომარე:

1. **თემურ თორდინავა** - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორი;

კომისიის წევრები:

2. **ეკატერინე ძნელაძე** - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორის მოადგილე;
3. **ნინო ბურძენიძე** -ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორის მოადგილე;
4. **დავით სიხარულიძე** - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორის მოადგილე;
5. **ლექსო თოდუა** - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ საფინანსო–ეკონომიკური სამსახურის უფროსი.

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

6. **დავით ძოწენიძე** - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ საფინანსო–ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი.
7. **ნინო კონჯარია** - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

მოწვეული კონსულტანტები:

8. **ნინო გვენცაძე** -სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების დადგენის განყოფილების უფროსი.
9. **ლევან ძაგნიძე** - სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.23.024.069) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის შესახებ კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის შპს „კვადრის“ მიერ წარმოდგენილი 2015 წლის 26 ივნისის 1/906 წერილის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მოახსენა საკონკურსო კომისიის წევრებს, რომ 2015 წლის 26 ივნისს აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ **შპს „კვადრმა“** წარმოადგინა წერილი 1/906 სადაც მითითებულია, რომ „ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავაგრძელოთ ჭიჭინაძის ქ. #1-ში დაპროექტებული ბაგა-ბაღის საკონკურსო პროექტის დანუშავება და გულისტკივილით ვწყვეტთ თანამშრომლობას“.

საკონკურსო კომისიის წევრმმა ეკატერინე ძნელაძემ დამსწრე კომისიის წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტმა საკუთარი სურვილით თქვა უარი ხელშეკრულების გაფორმებაზე. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 24-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია

ვალდებულია, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ აცნობოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“.

საკონკურსო კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

ვინაიდან, **ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.23.024.069) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის კონკურსში** გამარჯვებულმა კონკურსანტმა უარი განაცხადდა ხელშეკრულების გაფორმებაზე, ზემოთხსენებული კონკურსი #1637 -**კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით.**

კომისიამ დაადგინა:

1) **ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.23.024.069) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით)** შესყიდვის **კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით.**
2) გამარჯვებული კონკურსანტი **შპს „კვადრი“ (ს/კ 400019724)** დარეგისტრირებულ იქნას შავ სიაში 2015 წლის 26 ივნისს 1/906 წერილის საფუძველზე „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 24-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად.
3) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს აცნობოს წერილობითი ფორმით სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ აღნიშნული ინფორმაციის შესახებ, შემდგომში ერთიან ელექტრონულ სისტემის კონკურსის მოდულში #1637 შესაბამისი ოქმი განთავსების მიზნით.
4) აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე:

1. თემურ თორდინავა

კომისიის წევრები:

2. ეკატერინე ძნელაძე
3. ნინო ბურძენიძე
4. დავით სიხარულიძე
5. ლექსო თოდუა

მოწვეული კონსულტანტები:

6. ნინო გვენცაძე
7. ლევან ძაგნიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

8. დავით ძოწენიძე
9. ნინო კონჯარია

ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს

შ.პ.ს „კვადრი“–ს ფინასური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავაგრძელოთ ჭიჭინაძის ქუჩა N1–ში დაპროექტებული ბაგა–ბაღის საკონკურსო პროექტის დამუშავება და გულისტკივილით ვწყვეტთ თანამშრომლობას.

პატივისცემით:
დირექტორი
26.06.2015წ.

ა. ხეჩუაშვილი

შპს "კვადრი" * 400019724 * GEORGIA. "KVADRI" LTD

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო
№ 1/906
"26" "06" 2015 წ
თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. №30